F 171
1950

უფასო

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებათა
და განკარგულებათა

# კრებული

ფელიეტონი მეცამეტე

№ 6 | Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР | 1950 წ.

## შინაარსი

1. ბრძანება № 2333—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი . . 3
2. დებულება—კოჯორის საბავშვო სახლების საბინაო სამმართველოსი . . . 9
3. დებულება - გონებით ჩამორჩენილ ბავშვთა დამხმარე სკოლისა . . . . . 12
4. დებულება—ყრუ-მუნჯთა სკოლისა . . . . . 22
5. დებულება—უსინათლოთა სკოლისა . . . . . 35

თბილისი—1950

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2333

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 26 ივლისი

დადასტურებულია, რომ კასპის რაიონის განათლების განყოფილების (გამგე ამხ. ვ. ალექსიძე) მუშაობა, წინა წლებთან შედარებით, ერთგვარად გაუმჯობესდა, რაიონის სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია მასწავლებელთა შესაფერისი კადრებით. განათლების განყოფილებას სამუშაო გეგმით გათვალისწინებული აქვს სახალხო განათლების ძირითადი დარგების კონტროლი და ხელმძღვანელობა, სისტემატურად სწარმოებს სკოლების ინსპექტირება, დამაკმაყოფილებლად ეწევა კონტროლი სკოლების მიერ სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა განხორციელებასა და სხვ. მაგრამ მიუხედავად ამისა, განყოფილების მუშაობაში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს: ინსპექტორებს ზუსტად არ აქვთ მოხაზული ინდივიდუალური სამუშაო გეგმები, ზოგიერთი მათგანის ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული საკითხები ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი (ინსპექტორი ალექსანდრე ბეჟანიშვილი) და ამდენად გეგმები ზოგჯერ ფორმალურად არის შედგენილი.

ზოგიერთი სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შესწავლა ყოველთვის არ ხდება საფუძვლიანად, რის შედეგად გამოკვლეულ სკოლებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს არაჯანსაღი გამოვლინების შემთხვევებს (გაკვეთილზე არაფხიზელი შესვლა, მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში, ფულადი ჯარიმის ხელწერილის ჩამორთმევა—(დოესის რვაწლიანი სკოლა), კლასის ხელმძღვანელების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა—(ქვემო ჭალის საშუალო, ქვემო გომის რვაწლიანი სკოლა და სხვ.), ამასთან, გაკვეთილების მოუმზადებლად ჩატარება, რის შედეგად მოსწავლეთა აკადემიური დონე დაბალია რენეს (მასწ. თ. ჯელია), ბოტი-

სის (მასწ. ელ. ნადირაშვილი), ფერმის (მასწ. თ. შუღლიაშვილი), კასპის (რ. მსუქნიშვილი), ქვემო ჭალის (თ. ბახუაშვილი) დაწყებითს სკოლებში.

ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს მასწავლებლისათვის შეუფერებელ საქციელს. არ ექცევა ყურადღება მოსწავლეთა ცოდნის სწორად შეფასებას და ადგილი აქვს თვალისახვევის დანაშაულებრივ შემთხვევებს. ასე მაგალითად, ქვემო გომის რვაწლიანი სკოლის დირექტორის ლ. ახობაძის თანხმობით სასწავლო ნაწილის გამგემ ნ. ნადარეიშვილმა ხელზე მოსამსახურედ აიყვანა VI კლ. მოსწავლე ნადია მჭედლიშვილი, რამაც გამოიწვია მოსწავლის აკადემიურად ჩამორჩენა, ცალკე საგნებში (ბუნებისმეტყველებაში, ალგებრაში, გეოგრაფიასა და უცხო ენაში) ნიშნები ნადარეიშვილის მიერ დაეწერა გამოუკითხავად, ხოლო ისტორიაში მას მეოთხე მეოთხედში მასწ. ტერტერაშვილის ნაცვლად დირექციამ დაუწერა ნიშანი „3“.

დოესის რვაწლიანი სკოლის (დირექტორი ნ. კიკნაძე) VIII კლ. მოსწავლე რ. თათანაშვილი რუსულ ენაში (მასწ. ა. ტურაშვილი) წლის მანძილზე გამოძახებულია 16-ჯერ, ყველა გამოძახებაზე მიღებული აქვს შეფასება „2“, მაგრამ მეოთხედში მაინც უწერია „3“, ასე არასწორად არის დაწერილი ნიშნები გეომეტრიაში, ფიზიკაში, ალგებრაში, უცხო ენასა და სხვა საგნებში. ასევე არასწორად აქვთ დაწერილი ნაშნები მ. ოხანაშვილს, ე. მესროფაშვილს და სხვა მოსწავლეებს. ასეთივე მდგომარეობაა ქვემო ჭალის საშუალო და სხვა სკოლებში.

კასპის საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. მახარაძე) VI კლ. მოსწავლე ზ. ჩხარტიშვილი ქართულ ენაში გამოძახებულია ოთხჯერ, მიღებული აქვს შეფასება „2“ და საბოლოოდ დაწერილი აქვს შეფასება „3“, ბუნებისმეტყველებაში (მასწ. ნ. ბახტაძე) გამოძახებულია ორჯერ, მიღებული აქვს შეფასება „2“, ხოლო მეოთხედის ბოლოს უწერია „3“, არითმეტიკაში (მასწ. სირანაშვილი) უკანასკნელ სამ მეოთხედში არაა გამოძახებული, ხოლო მეოთხედის ბოლოს უწერია „3“ და ა. შ.

ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე არასაკმარისად ესწრება გაკვეთილებს (ქვემო გომის, კასპის, ქვემო ჭალის, დოესის სკოლები). ზოგჯერ გაკვეთილის დასწრებისა და მისი ანალიზის შედეგები ტრაფარეტულია.

ზოგიერთ სკოლაში კლასის ხელმძღვანელები არადამაკმაყოფილებლად სწავლობენ მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობებს,

არ ღებულობენ. საჭირო ზომებს მოსწავლეთა აღზრდისა და ჯან-მრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად, რასაც შედეგად მოჰყვა ქვემო ჭალის საშუალო სკოლაში მოსწავლე შიუკაშვილის სიკვდილი თვით სკოლაში. ეს შემთხვევა სკოლის დირექტორს (საჩანელს) განათლების განყოფილებისათვის არ უცნობებია და თითონაც არ მიუღია ყველა საჭირო ზომა მოსწავლის სიკვდილის მიზეზის შესასწავლად.

პედკაბინეტი ჯერ კიდევ არ აწარმოებს მასწავლებლების, სკოლის დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეების გამოცდილების განზოგადებას, არ აწყობს თემატიკურ გამოფენებს, სემინარებს პოლიტიკურ, საერთო პედაგოგიურ და მეთოდიური საკითხების შესასწავლად, არ აგროვებს მოსწავლეთა მიერ დამზადებულ სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოების ნიმუშებს და სხვ. პედკაბინეტის მიერ წინასწარ არ ხდება ჩასატარებელი მოხსენებების შემოწმება, რის შედეგად ზოგიერთ წაკითხულ მოხსენებაში დაშვებულია შეცდომები, ასე მაგალითად, მასწ. ე. გოზალოვის მიერ წაკითხულ მოხსენებაში წერია: „მხატვრული ნაწარმოების შესწავლა თუ ამოიწურა მისი შინაარსის, გმირთა დამახასიათებელი და სხვა მნიშვნელოვანი ადგილების შესწავლით, ეს გამოიწვევს მოსწავლეების ჩამორჩენას ლიტერატურის, როგორც სპეციფიური მეცნიერების გაგების საქმეში“ და სხვა.

განათლების განყოფილებას არ ჰყავს აღრიცხული ახალგაზრდა მასწავლებლები და მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით საკმარისად არ არის ჩატარებული ლექციები, სემინარები.

ამის შედეგად ზოგიერთი მასწავლებელი მეთოდურ და პოლიტიკურ- მოუმზადებლობას იჩენს.

მასწავლებელთა საგრძნობ ნაწილს არ ეწევა კომუნალური მომსახურეობა, არ არიან უზრუნველყოფილი შეშით (აღაიანის, კავთისხევის, ქვემო ხანდაკის, სასირეთის საბჭოს სკოლები), მასწავლებლები ბინებში იხდიან 150—200 მანეთს.

მასწავლებელთათვის გეგმით უნდა აშენებულიყო საცხოვრებელი სახლები წინარეხსა, ერთაწმინდასა, რკონსა და ნოსტეში, მაგრამ მშენებლობა ჯერ არ არის დამთავრებული.

სკოლების ერთი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი სასკოლო შენობებით. დაქირავებულ კერძო ბინებში მეცადინეობს 9 სკოლის 24 კლასი, 74 სკოლიდან სპეციალური სასკოლო შენობა აქვს მხოლოდ 5 სკოლას, დანარჩენი საცხოვრებელი ბინებია.

სკოლის დირექტორების გულგრილი დამოკიდებულების გამო დღემდე შემოუღობავია სკოლის ეზოები (სამთავისის რვაწლიანი

სკოლა, დირექტორი ლ. მცხვედაძე, ახალციხის რვაწლიანი სკოლა, დირექტორი გ. გოგალოვი, გოსტიბის რვაწლიანი სკოლა, დ. ლორთქიფანიძე და სხვა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთ სკოლაში მოუწესრიგებელია ფინანსიური მდგომარეობა, დოესის სკოლაში არ არის შემოღებული ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის წიგნი, სკოლის ფულადი სახსრები დახარჯულია ისე, რომ საჭირო გასამართლებელი დოკუმენტები სკოლას არ გააჩნია.

1950/51 სასწავლო წლისათვის მზადება კასპის რაიონში ნელი ტემპით მიმდინარეობს, რემონტი დამთავრებულია მხოლოდ 13 სასკოლო შენობაში, სათბობი სკოლებში ჯერ მიზიდული არ არის. სასკოლო ასაკის ბავშვების რაოდენობაც არ არის სათანადოდ დაზუსტებული.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს კასპის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ალექსიძეს:

ა) დააწესოს უფრო ქმედითი კონტროლი რაიონის თითოეულ სკოლაზე, რათა მიღწეულ იქნას 1950/51 სასწავლო წელს სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სკოლაში ჩაბმა და სკოლიდან განთეული მოსწავლეთა სკოლაში დაბრუნება.

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასკოლო შენობისა და ინვენტარის რემონტის ხარისხს. არ დაუშვას რემონტის უხარისხოდ, ნაჩქარევად ჩატარების არც ერთი შემთხვევა.

გ) დროულად უზრუნველჰყოს სკოლებისათვის სახელმძღვანელოებისა, სასწავლო ხელსაწყოებისა და ნივთების გეგმის მიხედვით მიწოდება.

დ) 1950/51 სასწავლო წლიდან მიაღწიოს სკოლების ინსპექტირების გაუმჯობესებას. ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლოს მასწავლებლის, კლასის ხელმძღვანელის, სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის მუშაობა, მოაწყოს შედეგებისა და გამოცდილებათა განზოგადება.

ე) გარდაქმნას პედკაბინეტის მუშაობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას რაიონის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლებისათვის სისტემატური და თანმიმდევრული დახმარების აღმოჩენა.

ვ) ჩაატაროს ახალგაზრდა მასწავლებელთა სპეციალური აღრიცხვა და პედაგოგიურ-მეთოდურ საკითხებზე გაუწიოს მათ დახმარება სემინარების, მოხსენებების, კონსულტაციების სისტემატურად მოწყობით.

ზ) მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში დაშვებულ ლიბერალიზმისა და თვალის ახვევისათვის დაადოს სათანადო სასჯელი დოესის რვაწლიან სკოლის რუსული ენის, უცხო ენის, ქვემო გომის რვაწლიან სკოლის ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, გეოგრაფიის, უცხო ენის, კასპის საშუალო სკოლის ქართული ენის, ბუნებისმეტყველების, არითმეტიკის მასწავლებლებს. ამასთან პირადად შეამოწმოს რაიონის ყველა სკოლაში მსგავსი შემთხვევები და მიიღოს ყველა საჭირო ზომა მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ყოველგვარ დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად.

თ) დააწესოს მტკიცე კონტროლი სკოლაში ფინანსიური სახსრების მიზანშეწონილად ხარჯვაზე, მიაღწიოს თითოეული სკოლის ფინანსიური მეურნეობის ზუსტად მოწესრიგებას და ფინანსიური დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ მიიღოს გადამჭრელი ზომები.

ი) სასკოლო ეზოს კეთილმოწყობის საქმეში სრული უმოქმედობისათვის დაადოს სათანადო სასჯელი სამთავისის, ახალციხის და გოსტიბის რვაწლიანი სკოლის დირექტორებს და აიძულოს ისინი 1950/51 სასწავლო წლისათვის შემოღობონ სასკოლო ეზოები და მიაღწიონ მის კეთილმოწყობას.

2. ქვემო ჭალის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის რუსული ენის მასწავლებელი თ. ბახუაშვილი განთავისუფლდეს თანამდებობიდან, როგორც რუსული ენის არმცოდნე.

3. იმის გამო, რომ ქვემო ჭალის სკოლის დირექტორმა ამხ. ივ. საჩანელმა მოსწავლე ც. შიუკაშვილის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით დროულად არ მიიღო საჭირო ზომები, დროზე არ აცნობა განათლების განყოფილებას მოსწავლის გარდაცვალება და არ გამოიჩინა სათანადო გულისხმიერება და პასუხისმგებლობა,—გამოეცხადოს საყვედური.

4. IX კლასის ხელმძღვანელს ამხ. გ. მერებაშვილს, რომელსაც სასწავლო წლის მანძილზე არცერთხელ არ შეუსწავლია მოსწ. ც. შიუკაშვილის მდგომარეობა და მასწავლებელ მ. ოთარაშვილს, რომელმაც გაკვეთილზე შეამჩნია მოსწავლე ც. შიუკაშვილის ცუდად ყოფნა, მაგრამ საჭირო საექიმო დახმარება არ აღმოუჩინა—გამოეცხადოთ საყვედური.

5. ქვემო გომის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ლია ახობაძე, რომელმაც ვერ უზრუნველყო მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში თვალისახვევის აღმოფხვრა, ხელი შეუწყო სასწავლო ნაწილის გამგეს ნ. ნადარეიშვილს მოსწ. ნ. მჭედლიშვილის ხელზე მოსამსახურედ აყვანაში—განთავისუფლდეს დირექტორობიდან.

6. ქვემო გომის რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ნ. ნ ა დ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, რომელმაც ხელზე მოსამსახურედ აიყვანა IV კლ. მოსწავლე, მოსწავლის ჩამორჩენილობის დასაფარავად ხელოვნურად დაუწერა მას მაღალი შეფასება —განთავისუფლდეს თანამდებობიდან.

7. ქვემო გომის რვაწლიანი სკოლის მასწ. ვ. ტ ე რ ტ ე რ ა შ ვ ი ლ ს, რომელმაც მოსწ. ნ. მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ს დაუწერა შეფასება „3“, მაშინ როდესაც თითონ დარწმუნებული იყო, რომ ის სრულიად მოუმზადებელია მის საგანში—გამოეცხადოს საყვედური.

8. დოესის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი შ. ა თ ა ნ ე ლ ო ვ ი, რომელიც არაფხიზელი გამოცხადდა სკოლაში—გამოეცხადოს საყვედური და გაფრთხილებულ იქნას მსგავსი შემთხვევის გამეორებისას მას დაედება უფრო მკაცრი სასჯელი.

9. დოესის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ამხ. ნ. კიკნაძეს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობისადმი არასაკმარისი ხელმძღვანელობისათვის და ფინანსიური დოკუმენტების მოუწესრიგებლობისათვის—გამოეცხადოს საყვედური.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. დ. კ უ პ რ ა ძ ე.

„ვამტკიცებ"
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე
13 აპრილი 1950 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დებულება

## კოჯორის საბავშვო სახლების საბინაო სამმართველოსი

### I. საერთო ნაწილი

1. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წ. 17 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად—„საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ ქალაქებში",—კოჯორის საბავშვო სახლებისათვის არსდება საბინაო სამმართველო.

2. საბინაო სამმართველო იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე და გახსნილი აქვს საკუთარი ანგარიში ქ. თბილისის საგარეუბნო რაიონის სახბანკის განყოფილებაში.

3. საბინაო სამმართველოს აქვს რგვალი ბეჭედი და შტამპი თავისი სახელწოდებით.

### II. საბინაო სამმართველოს მიზნები და ამოცანები

4. საბინაო სამმართველოს ამოცანას შეადგენს კოჯორის საბავშვო სახლების, ცენტრალური კლუბის, ბიბლიოთეკისა და აბანოს შენობების მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ჩატარება, მათზე ტექნიკური და სანიტარული მეთვალყურეობა და კონტროლი.

5. საბავშვო სახლების თანამშრომელთა საერთო საცხოვრებლებში საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილებასთან შეთანხმებით მობინადრეთა ჩასახლება-გამოსახლება.

**შენიშვნა:** მობინადრე-თანამშრომელთა ჩასახლება ფორმდება სათანადო ორდერით.

6. საბინაო სამმართველოს გამგებლობაში შემავალი ობიექტებისა და მათი ეზოების კეთილმოწყობა, სახელდობრ: ელგანათება, გათბობის სისტემის მოწესრიგება, შენობების უზრუნველყოფა კანალიზაციით და სხვა სანიტარულ და ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიების გატარება.

7. კოჯორის საბავშვო სახლების აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით საბინაო სამმართველოს გამგებლობაშია აბანო, სამრეცხაო, საპარიკმახერო და სხვა ანალოგიური ხასიათის ობიექტი.

## III. საბინაო სამმართველოს მმართველობა

8. საბინაო სამმართველოს სათავეში დგას სამმართველოს უფროსი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

## IV. საბინაო სამმართველოს მოვალეობანი

9. საბინაო ქირის განსაზღვრა თითოეული საბავშვო სახლისათვის და თითოეული მობინადრისათვის არსებული ნორმების საფუძველზე საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილებისათვის, მათი წარდგენა დასამტკიცებლად, ქირის აკრეფა და დანიშნულებისამებრ გამოყენება.

10. შენობების რემონტისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვების სარემონტო მასალისა და მოწყობილობაზე მოთხოვნების შედგენა, სათანადო ორგანიზაციებში წარდგენა. თანხებისა და მასალების მიღება და პირდაპირი დანიშნულებით გამოყენება.

11. საბინაო სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო გეგმების შედგენა და ზემდგომ ორგანოებში წარდგენა.

## V. საბინაო სამმართველოს უფროსის მოვალეობა

12. საბინაო სამმართველოს მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა.

13. საბინაო სამმართველოს თანამშრომელთა მიღება და გათავისუფლება გარდა ბუხჰალტრისა და ინჟინრისა, რომლებსაც ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

14. საბინაო სამმართველოში შემავალი ობიექტების ქონების ინვენტარიზაციის ჩატარება.

15. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელით წარმომადგენლობის გაწევა ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, სასამართლოთა საარბიტრაჟო დაწესებულებებში.

16. სათანადო წარმოება-დაწესებულებებთან ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადება.

17. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში კვარტალური და წლიური ბალანსების ანგარიშების და ფულადი საბუთების წარდგენა დასამტკიცებლად.

## VI. საბინაო სამმართველოს სახსრები

18. საბინაო-სამმართველოს სახსრებს შეადგენს:

ა) საკუთარი შემოსავალი ბინების ექსპლოატაციით,

ბ) დამხმარე ობიექტებიდან მიღებული შემოსავალი და

გ) დოტაცია ბიუჯეტიდან.

19. საბავშვო სახლების სამმართველოს საწესდებო ფონდი განსაზღვრება . . . მან., რაც შეიძლება გადიდებულ ან შემცირებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

## VII. საბინაო სამმართველოს ანგარიშგება

20. ანგარიშგებას აწარმოებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმებისა და ინსტრუქციების მიხედვით.

## VIII. საბინაო სამმართველოს ლიკვიდაცია

21. საბინაო სამმართველოს ლიკვიდაცია ხდება საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანებით.

---

„ვამტკიცებ"
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე
1 ივლისი 1950 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გონებით ჩამორჩენილ ბავშვთა დამხმარე სკოლის დებულება

## I. საერთო დებულება

1. დამხმარე სკოლა გონებით ჩამორჩენილ ბავშვთათვის წარმოადგენს სახელმწიფო სკოლას და იმყოფება განათლების სამინისტროს უშუალო გამგებლობასა და ბიუჯეტზე.

2. დამხმარე სკოლის მიზანია მისცეს გონებით ჩამორჩენილ ბავშვებს საერთო განათლება და პროფესიულ-შრომითი მომზადება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სპეციალური პროგრამების ფარგლებში.

3. დამხმარე სკოლა შესდგება შვიდი კლასისა და სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებისაგან პროფესიულ-შრომითი სწავლებისათვის.

4. დამხმარე სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე.

5. დამხმარე სკოლის ყველა კლასში სწავლა წარმოებს მშობლიურ (ქართულ, რუსულ, სომხურ) ენაზე.

## II. სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია

6. დამხმარე სკოლა უზრუნველჰყოფს:

ა) ზოგად-საგანმანათლებლო ცოდნის მტკიცე და სისტემატურ შეთვისებას მოსწავლეთა მიერ;

ბ) ფსიქიურ და ფიზიკურ გაჯანმრთელებას, რაც ხორციელდება მთელი სასკოლო რეჟიმის სწორი ორგანიზაციით, საკორექციო-აღმზრდელობითი მუშაობით, რაც მიმართულია გონებით ჩამორჩენილ ბავშვებში ფსიქო-ფიზიოლოგიურ გადახრების დაძლევისა ან გამოსწორებისაკენ და რომელიც ტარდება საკლასო და კლასგარეშე მუშაობის მთელ პროცესში;

გ) მეტყველების ნაკლოვანებათა გამოსწორებას;

დ) თვითმმართველობითი ჩვევების დაუფლებას;

ე) განსაზღვრული პროფესიის დაუფლებას შრომის ერთ-ერთ სახეში;

ვ) კულტურული ქცევის, შეგნებული დისციპლინისა და სოციალისტურ საზოგადოებაში ცხოვრებისადმი პატივისცემის გრძნობის აღზრდას.

7. დამხმარე სკოლაში მასწავლებელთა მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდები, უზრუნველყოფენ რა ცოდნათა მტკიცე და შეგნებულ შეთვისებას, უნდა ავითარებდენ ბავშვებში აქტივობას, ზრდიდენ დამოუკიდებელი შრომის ჩვევებს და მიღებულ ცოდნა-ჩვევათა ცხოვრებაში გამოყენების უნარს.

8. მთელი სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ძირითად ფორმას დამხმარე სკოლაში წარმოადგენს გაკვეთილი, რომელიც ტარდება მასწავლებლის მიერ გარკვეულ კლასთან, მოსწავლეთა განსაზღვრული შემადგენლობით.

ინდივიდუალური მეცადინეობისათვის იმ მოსწავლეებთან, რომლებიც დადგენილ ვადებში ვერ ძლევენ სასწავლო მასალას ცალკეულ საგნებში, დასაშვებია მუდმივი და დროებითი ჯგუფების მოწყობა კლასს შიგნით.

ამ ჯგუფებში მეცადინეობას ატარებს ამავე კლასის მასწავლებელი ინდივიდუალური პროგრამით.

9. დამხმარე სკოლაში პროფესიულ-შრომითი სწავლება იწყება მე-4 კლასიდან. 1—2 და მე-3 კლასის ის მოსწავლეები, რომელთაც შეუსრულდათ 12 წელი, აგრეთვე ჩაბმულ უნდა იქნან პროფესიულ სწავლებაში.

10. სასწავლო წლის დაწყება და დამთავრება როგორც მთელი სკოლისათვის, ისე ცალკე კლასებისათვის, აგრეთვე სასწავლო წლის მეოთხედებად დაყოფა და არდადეგების დაწყება-დამთავრება დამხმარე სკოლაში ემთხვევა მასობრივი სკოლებისათვის დადგენილ ვადებს.

11. გაკვეთილების თანმიმდევრობა დამხმარე სკოლაში განისაზღვრება ცხრილით, რომელსაც ადგენს დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სპეციალური სასწავლო გეგმის საფუძველზე და ამტკიცებს დამხმარე სკოლის დირექტორი.

12. გაკვეთილის ხანგრძლიობა დამხმარე სკოლაში უდრის 45 წუთს, პირველი, მესამე და მეოთხე დასვენების—10—10 წუთს, ოლო მეორის—30 წუთს.

**შენიშვნა**: მეორე და მესამე დასვენების ხანგრძლიობა დასაშვებია 20—20 წუთი.

13. მოსწავლეთა რაოდენობა დამხმარე სკოლის თითოეულ კლასში განისაზღვრება 16 კაცით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამხმარე სკოლაში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 200 კაცს.

სასწავლო მეცადინეობა დამხმარე სკოლაში ტარდება ერთ წყებაში.

14. დამხმარე სკოლის 1—4 კლასებში ყველა საგანს, გარდა სიმღერის, რითმიკის, ფიზკულტურისა და ხატვისა, ასწავლის ერთი მასწავლებელი, რომელსაც, როგორც წესი, მიცემული კლასი მიყავს პირველი კლასიდან მე-4 კლასამდის (ჩათვლით), დანარჩენ კლასებში მეცადინეობას ატარებს რამდენიმე მასწავლებელი. ცალკე შემთხვევაში 1-დან მე-7 კლასამდე შეიძლება ყველა საგანს ასწავლიდეს ერთი მასწავლებელი.

15. მასწავლებელი სისტემატურად ამოწმებს მოსწავლეთა ცოდნას გაკვეთილებზე ზეპირი გამოკითხვით, საკლასო და საშინაო წერითი სამუშაოების ჩატარებით და აფასებს მოსწავლეთა ცოდნას დადგენილი სისტემის შესაბამისად.

16. თითოეული მეოთხედის ნიშანი იწერება მოწმობაში, რომელიც ყოველი მეოთხედის ბოლოს ეძლევა მოსწავლეს ხელზე მშობლებისთვის გასაცნობად.

ეს მოწმობა, მშობლების ან მათი შემცვლელების მიერ ხელმოწერის შემდეგ, ისევ სკოლას უბრუნდება.

17. I, II, III, IV, V, VI კლასების მოსწავლენი, რომელთაც ძირითად სასწავლო საგნებში აქვთ ნიშანი „3“ და მეტი, გადაიყვანებიან შემდეგ კლასებში უგამოცდოდ, იმისდა მიუხედავად, თუ რა ნიშნები აქვთ მათ სიმღერაში, ფიზკულტურასა და ხატვაში.

18. მე-7 კლასების მოსწავლენი სასწავლო წლის ბოლოს გაივლიან შემოწმებით გამოცდებს, რომელთა ჩატარების წესს ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. უკანასკნელი, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები, გარდა ამისა, საკვალიფიკაციო კომისიაში გაივლიან გამოცდებს პროფესიულ-შრომითი მომზადებაში პროგრამის ათვისების შესამოწმებლად. საკვალიფიკაციო კომისია დგება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე.

19. I და II კლასის იმ მოსწავლეებს, რომლებმაც არადამაკმაყოფილებელი წლიური შეფასება მიიღეს სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად საგანში, ხოლო III—IV კლასებში არაუმეტეს ორ საგანში, პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით შეიძლება მიეცეთ სა-

ზაფხულო სასწავლო დავალება. V—VII კლასის მოსწავლეები, რომელთაც არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვთ არა უმეტეს ორ საგანში, პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით შეიძლება დაშვებულ იქნან საშემოდგომო განმეორებით გამოცდებზე.

20. საშემოდგომო შემოწმებითი გამოცდები ტარდება აგვისტოს მეორე ნახევარში.

21. მოსწავლეები, რომელნიც საშემოდგომო შემოწმებით გამოცდებზე მიიღებენ არადამაკმაყოფილებელ შეფასებას ერთ-ერთ ძირითად საგანში, რჩებიან იმავე კლასში.

22. მოსწავლეებს, რომლებიც დაამთავრებენ დამხმარე სკოლის კურსს, ეძლევათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმის მოწმობა დირექტორის, სასწავლო ნაწილის გამგის და მასწავლებლის ხელმოწერით.

23. დამხმარე სკოლაში წესდება გადიდებული სამუშაო დღე, რომლის შინაარსს, გარდა სასკოლო მეცადინეობისა, შეადგენს:

ა) მოსწავლეთა პროფესიულ-შრომითი სწავლება;

ბ) საშინაო დავალებათა დამოუკიდებლად მომზადება;

გ) ბავშვთა მკურნალობა ექიმის—ფსიქიატრისა და პედიატრის მითითებით (ფიზიოთერაპია, წყალმკურნალობა, სამკურნალო გიმნასტიკა, მედიკამენტოზური მკურნალობა და ა. შ.) საექიმო პროცედურები ტარდება ექთანის მიერ ექიმის უშუალო მეთვალყურეობით.

დ) ბავშვთა გასეირნებანი სუფთა ჰაერზე არანაკლებ 2 საათისა დღეში;

ე) უმცროს და ფიზიკურად სუსტ ბავშვთა დღის ძილი;

ვ) სკოლის გარეშე აღმზრდელობითი მუშაობა.

**შენიშვნა:** სკოლისგარეშე მუშაობისათვის თითოეული აღმზრდელის ჯგუფის შემადგელობა განისაზღვრება 20 აღსაზრდელით.

## III. მოსწავლენი

24. მოსწავლეთა მიღება დამხმარე სკოლაში ხდება 1-ლი აპრილიდან 1-ლ ივლისამდე მიმღებ კომისიის მიერ, რომელიც ყალიბდება დამხმარე სკოლასთან შემდეგი შემადგენლობით: განათლების სამინისტროს წარმომადგენელი (თავმჯდომარე), დამხმარე სკოლის დირექტორი, ექიმი-ფსიქიატრი, ექიმი-პედიატრი ან თერაპევტი, დამხმარე სკოლის დეფექტოლოგი-მასწავლებელი.

25. მოსწავლეთა ჩარიცხვა დამხმარე სკოლაში სასწავლო წლის დაწყების შემდეგ დასაშვებია მხოლოდ მშობელთა გადასვლის შემთხვევაში ერთი რაიონიდან მეორეში.

26. დამხმარე სკოლაში ბავშვთა ჩარიცხვისას მშობლები ან მათი შემცვლელნი ვალდებული არიან წარადგინონ სკოლაში შემდეგი საბუთები: განცხადება ბავშვის სკოლაში მიღების შესახებ, დოკუმენტი ბავშვის ასაკის შესახებ, ცნობა ყვავილის აცრის შესახებ, პედაგოგიური დახასიათება იმ სკოლიდან, სადაც ბავშვი სწავლობდა წინათ, ექიმი-ფსიქიატრის ან ნევროპათოლოგის დასკვნა.

27. მოსწავლეებს, რომლებიც ერთი კლასიდან მეორეში გადასვლისას ან კურსის დამთავრებისას ყველა საგანსა და შრომითი სწავლებასა და ყოფაქცევაში მიიღებენ ნიშან „5"ს, იმისდა მიუხედავად, თუ რა ნიშნები აქვს მათ ხატვასა, სიმღერასა და ფიზკულტურაში, ეძლევათ ქების სიგელი.

28. „მოსწავლეთა ქცევის წესების" დარღვევის შემთხვევაში, მოსწავლის მიმართ შეიძლება მიღებულ იქნეს ზეგავლენის შემდეგი ზომები:

ა) მასწავლებლის ან სკოლის დირექტორის ზეპირი შემჩნევა;

ბ) მასწავლებლის ან დირექტორის ინდივიდუალური საუბარი მოსწავლესთან კლასში, დირექტორის კაბინეტში;

გ) მოსწავლის მშობელთა გამოძახება სკოლაში და მოსწავლესთან საუბარი მშობელთა დასწრებით;

დ) ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება;

ე) მოსწავლის გაფრთხილება დირექტორის მიერ, სკოლიდან გარიცხვის შესაძლებლობის შესახებ;

ვ) სკოლიდან გარიცხვა.

29. სკოლიდან მოსწავლის გარიცხვა, როგორც უკიდურესი ზომა, დირექტორის განკარგულებით დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებით ცუდი ქცევისათვის.

**შენიშვნა:** მოსწავლის გარიცხვა სკოლიდან დადასტურებულ უნდა იქნეს განათლების სამინისტროს მიერ.

## IV. თანამდებობის პირნი

### ა) სკოლის დირექტორი

30. დამხმარე სკოლის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს, ათავისუფლებს (გადაყავს) საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. დირექტორად დაინიშნება ისეთი პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი პედაგოგიური (სპეციალური) განათლებისა და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ სამი წლისა.

31. სკოლის დირექტორი პასუხს აგებს სწავლის, აღზრდის, შრომითი მოწყობის საქმის დაყენებაში, აგრეთვე მთელი მეურნეობის მდგომარეობაზე სკოლაში. ის ხელმძღვანელობს სკოლის მთელ სასწავლო და მეთოდურ მუშაობას, პროფესიულ-შრომითი სწავლებას, თავმჯდომარეობს სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და უზრუნველჰყოფს სკოლის შესახებ გამოცემულ ინსტრუქციებისა და დადგენილების ზუსტად შესრულებას.

32. სკოლის დირექტორს უფლება აქვს:

ა) მოიწვიოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად პედაგოგები, აგრეთვე წარადგინოს ისინი გასანთავისუფლებლად, მოიწვიოს ან გაანთავისუფლოს სკოლის სხვა მუშაკები დანიშნულებისათვის შეუფერებლობის შემთხვევაში;

ბ) დაადოს ადმინისტრაციული სასჯელი სკოლის მუშაკებს შრომის დისციპლინის დარღვევისა და მათზე დაკისრებულ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის;

გ) წარადგინოს წახალისებისა და დაჯილდოებისათვის სკოლის მოწინავე მუშაკები;

დ) განაგოს სკოლის კრედიტები და მთელი ქონება;

ე) ასწავლოს თავისი სპეციალობის ერთ-ერთ საგანში არა უმეტეს ორი საათისა დღეში;

### ბ) დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში

33. დირექტორის მოადგილე სასწავლო ნიწილში ინიშნება განათლების სამინისტროს მიერ იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი დეფექტოლოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 3 წლისა.

34. დირექტორის მოადგილე პასუხისმგებელია დირექტორის წინაშე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სწორად დაყენებისათვის სკოლაში, ცხრილის, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებაში, დისციპლინის მდგომარეობაში, სკოლაში დირექტორის არყოფნის დროს ასრულებს მის მოვალეობას.

### გ) მასწავლებლები

35. დამხმარე სკოლის მასწავლებლებს, მათ შორის შრომის მასწავლებლებსაც, ნიშნავს, ანთავისუფლებს (ან ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყავს), საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

36. დამხმარე სკოლის მასწავლებლად ინიშნებიან დეფექტოლოგიური განათლების მქონე პირნი, ან საერთო პედაგოგიური განათ-

ლების მქონენი, არანაკლებ ხუთი წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟისა. შრომის მასწავლებლებად ინიშნებიან საწარმოო კვალიფიკაციის მქონე პირნი საერთო განათლებით არანაკლებ რვაწლიანი სკოლის კურსისა.

37. დამხმარე სკოლას ყავს მასწავლებელი ლოგოპედი, რომელიც ინიშნება განათლების სამინისტროს მიერ უმაღლესი დეფექტოლოგიური განათლების მქონე პირთაგან და სარგებლობს სკოლის სხვა მასწავლებლის ყველა უფლებით.

## ე) კლასის ხელმძღვანელი

38. ბავშვთა სწავლასა და ქცევაზე ყოველდღიური მეთვალყურეობისა და დახმარებისათვის სკოლის VI კლასიდან (ჩათვლით) დირექტორის მიერ ინიშნება კლასის ხელმძღვანელი.

**შენიშვნა:** I—V კლასებში კლასის განსაკუთრებული ხელმძღვანელის თანამდებობა არ წესდება. მის მოვალეობას ასრულებს კლასის ერთ-ერთი მასწავლებელი.

39. კლასის ხელმძღვანელს ევალება:

ა) მეთვალყურეობა გაუწიოს მოსწავლის მიერ გაკვეთილებზე დასწრებას, წარმატებასა და ყოფაქცევას.

ბ) შეამოწმოს მოსწავლის დღიური;

გ) მოაწესრიგოს ბავშვთა მორიგეობა კლასში;

ე) პასუხი აგოს მოსწავლეთა პირადი საქმეების მდგომარეობაზე;

ვ) შეადგინოს მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის შესახებ დადგენილი ფორმისა და შინაარსის უწყისები და მეოთხედური და წლიური ანგარიშები კლასის მუშაობის შესახებ.

## ვ) სამნეო ნაწილის გამგე

40. სამნეო ნაწილის გამგეს ნიშნავს სკოლის დირექტორი. სამნეო ნაწილის გამგე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის წინაშე სკოლის სამნეო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისათვის; ღებულობს საჭირო ზომებს სკოლის შენობის დროულად შეკეთებისათვის, ინვენტარით, მოწყობილობით, სათბობითა და სწავლისათვის საჭირო ყოველგვარი ნივთით და მასალით სკოლის მომარაგებისათვის და სკოლის მთელი ქონების მოვლა-დაცვისათვის.

41. სკოლის სხვა დამხმარე პერსონალი (საქმის მწარმოებელი, დამლაგებელი, დარაჯი, ცეცხლფარეშები, მეკარენი, მეეზოვენი და სხვ.) ინიშნებიან და თავისუფლდებიან სკოლის დირექტორის მიერ.

### ი) უფროსი პიონერხელმძღვანელი და ბიბლიოთეკარი

42. დამხმარე სკოლაში წესდება უფროსი პიონერხელმძღვანელისა და ბიბლიოთეკარის თანამდებობანი.

### თ) საექიმო პერსონალი

43. დამხმარე სკოლას შტატში ჰყავს ექიმი—ფსიქიატრი ან ნევროპათოლოგი და ექთანი, რომელთაც ნიშნავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

44. ექიმს ევალება:

ა) ბავშვთა საექიმო შემოწმება;

ბ) პროფილაქტიკური და სამკურნალო დახმარება ბავშვთათვის;

გ) სკოლის სანიტარულ მდგომარეობაზე მეთვალყურეობა, კვების, დასვენებისა და ძილის სწორ ორგანიზაციაზე ზრუნვა.

## V. პედაგოგიური საბჭო

45. პედაგოგიური საბჭოს წევრებად ითვლებიან: სკოლის დირექტორი (თავმჯდომარე), მისი მოადგილე სასწავლო დარგში, ყველა მასწავლებელი, მშობელთა კომიტეტის წარმომადგენელი, ბიბლიოთეკარი, უფროსი პიონერხელმძღვანელი და სკოლის ექიმი.

46. პედაგოგიური საბჭო წარმოადგენს სათათბირო ორგანოს სკოლის დირექტორთან.

47. პედაგოგიურ საბჭოს იწვევს სკოლის დირექტორი არა ნაკლებ თვეში ერთხელ.

48. პედაგოგიური საბჭო ისმენს და იხილავს:

ა) სკოლის სამუშაო გეგმას;

ბ) პარტიისა და მთავრობის დირექტივების, განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი ორგანოების მითითებებისა და ბრძანებების ცხოვრებაში გატარების ღონისძიებებს;

გ) სასწავლო-საალმზრდელო და პროფესიულ-შრომითი სწავლების საკითხებს, გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადების საკითხებს, გამოცდების შედეგებს, კლასიდან კლასში გადაყვანისა და კურსდამთავრებულთათვის მოწმობების გაცემისა და დაჯილდოების საკითხებს.

დ) მასწავლებელთა ანგარიშებს სასწავლო პროგრამების შესრულების, სწავლების მეთოდებისა და მოსწავლეთა ცოდნისა და ყოფაქცევის შესახებ.

ე) კლასების ხელმძღვანელთა ანგარიშებს;

ვ) დასკვნა გამოაქვს სკოლის დირექტორის წლიური ანგარიშის შესახებ, რომელიც წარედგინება განათლების სამინისტროს.

49. ყოველი საკითხი პედაგოგიურ საბჭოში წყდება ხმის უმრავლესობით. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

50. პედაგოგიური საბჭოს ოქმი იწერება სპეციალურ, დანომრილ, ზონარგაყრილ და ლუქის ბეჭდით დასმულ წიგნში, სადაც ხელს აწერს სკოლის დირექტორი და პედსაბჭოს მდივანი.

51. იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლის დირექტორი არ ეთანხმება პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებას, ის შეაჩერებს საბჭოს გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას და ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს განათლების სამინისტროს. განათლების მინისტრი მიიღებს ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას და ხუთი დღის განმავლობაში აცნობებს პედსაბჭოს.

## VI. მოსწავლეთა ორგანიზაციები

52. დამხმარე სკოლაში ყალიბდება მოსწავლეთა და პიონერთა ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ სპეციალური დებულების საფუძველზე.

## VII. მშობელთა კომიტეტი

53. დამხმარე სკოლასთან ყალიბდება მშობელთა კომიტეტი, რომელიც მუშაობს სკოლებთან არსებულ მშობელთა კომიტეტების დებულების საფუძველზე.

## VIII. დამხმარე სკოლის დაფინანსება, ქონება, ანგარიშგება, ლიკვიდაციის წესი

54. დამხმარე სკოლას აქვს იურიდიული პირის უფლება. მას აქვს თავისი ბეჭედი სკოლის სრული სახელწოდებით. სკოლის მთელი ქონება (შენობები, სასწავლო და სამეურნეო მოწყობილობა, სასკოლო საკარმიდამო ნაკვეთი, დამხმარე მეურნეობა და სხვ.) წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და არ შეიძლება გასხვისებული იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გარეშე.

55. დამხმარე სკოლას აქვს თავისი წლიური ხარჯთაღრიცხვა განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული.

56. გარდა საბიუჯეტო საშუალებებისა, დამხმარე სკოლას აქვს სპეციალური საშუალებანი, რომლებიც შესდგება სახელოსნოებისა და დამხმარე მეურნეობის შემოსავლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

57. სპეციალური სახსრები ხმარდება ბავშვთა შენახვის გაუმჯობესებას საბიუჯეტო თანხებზე დამატებით ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს განათლების სამინისტრო.

58. ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 ივლისისა, სკოლა არდგენს განათლების სამინისტროში თავისი მუშაობის ანგარიშს და სტატისტიკურ ცნობებს დადგენილ ვადებში. სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს მიერ დამტკიცებული ნორმების მიხედვით.

59. სკოლის ლიკვიდაცია ან ერთი შენობიდან მეორეში გადაყვანა შეიძლება მოხდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით.

---

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე
1 ივლისი 1950 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყრუ-მუნჯთა სკოლის დებულება

## 1. საერთო დებულება

1. ყრუ-მუნჯთა სკოლა წარმოადგენს სახელმწიფო სკოლას და იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უშუალო გამგებლობასა და ბიუჯეტზე.

2. ყრუ-მუნჯთა სკოლის მიზანია მისცეს სასკოლო ასაკის ყრუ-მუნჯ ბავშვებს საერთო განათლება და პროფესიულ-შრომითი მომზადება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სპეციალური პროგრამების ფარგლებში, აგრეთვე განუვითაროს მათ გარკვეული და სხვებისათვის გასაგები ზეპირი და წერითი მეტყველება.

3. ყრუ-მუნჯთა სკოლის მოწაფეთათვის, რომელთაც არა ჰყავთ მშობლები და სკოლიდან დაშორებულ ქალაქებსა და რაიონებში ცხოვრობენ, სკოლასთან ეწყობა ინტერნატი.

4. ყრუ-მუნჯთა სკოლა შესდგება მოსამზადებელი ჯგუფისა და რვა კლასისაგან, მას აქვს სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები პროფესიულ შრომითი სწავლებისათვის.

5. ყრუ-მუნჯთა სკოლაში მოწაფეთა მიღება ხდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე.

6. ყრუ-მუნჯთა სკოლის ყველა კლასში სწავლა უფასოა და წარმოებს მშობლიურ ენაზე.

7. ყრუ-მუნჯი ბავშვები, რომლებსაც ნაწილობრივად შერჩენილი აქვთ სმენა და ხმის გამაძლიერებელი აპარატურით შეუძლიათ ხმოვანი მეტყველების მოსმენა, სწავლობენ სამიკროფონო კლასებში, რომლებიც ეწყობა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით.

## II. სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია

8. ყრუ-მუნჯთა სკოლაში გამოყენებული სწავლის და აღზრდის მეთოდები უზრუნველყოფენ ცოდნის მტკიცე და შეგნებულ შეთვისე-

ბას და ავითარებენ ბავშვებში აქტივობას, დამოუკიდებელი შრომის ჩვევებს და მიღებულ ცოდნა-ჩვევათა ცხოვრებაში გამოყენების უნარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ძირითად ფორმას ყრუ-მუნჯთა სკოლაში წარმოადგენს გაკვეთილი, რომელიც ტარდება მასწავლებლის ხელმძღვანელობით გარკვეულ კლასთან მოსწავლეთა განსაზღვრული შემადგენლობით, გამოთქმის სწავლება კი უნდა მიმდინარეობდეს ინდივიდუალურ[illegible]

10. სასწავლო წელი ყრუ-მუნჯთა სკოლაში იწყება 1-ლ სექტემბერს და მთავრდება მოსამზადებელ, I, II, III და IV კლასებში 20 მაისს, V კლასში 1-ლ ივნისს, დანარჩენ კლასებში 10 ივნისს.

11. საზამთრო არდადეგები ყრუ-მუნჯთა სკოლაში იწყება 1-ლ იანვარს და მთავრდება 10 იანვარს (ჩათვლით), საგაზაფხულო—25 მარტს და გრძელდება 31 მარტამდის (ჩათვლით),.საზაფხულო-სასწავლო წლის დამთავრებიდან ახალ სასწავლო წლის დაწყებდე, ე. ი. 1-ლ სექტემბრამდე.

12. სასწავლო წელი იყოფა მეოთხედებად. სასწავლო მეოთხედების ვადები და ხანგრძლიობა ემთხვევა მასიური სკოლებისათვის დადგენილ ვადებსა და ხანგრძლიობას.

13. გაკვეთილების თანმიმდევრობა ყრუ-მუნჯთა სკოლაში განისაზღვრება ცხრილით, რომელსაც ადგენს დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის საფუძველზე.

14. გაკვეთილის ხანგრძლიობა ყრუ-მუნჯთა სკოლაში უდრის 45 წუთს, პირველი, მესამე და მეოთხე დასვენების—10—10 წუთს, ხოლო მეორის—30 წუთს.

**შენიშვნა:** მეორე და მესამე დასვენების ხანგრძლიობა დასაშვებია 20—20 წუთი.

15. ყრუ-მუნჯთა სკოლის მოსამზადებელ I, II, III და IV კლასებში ყველა საგანს, გარდა რითმიკისა, ფიზკულტურისა და ხატვისა ასწავლის ერთი მასწავლებელი, რომელსაც, როგორც წესი, მიცემული კლასი მიჰყავს დღიდან მოსწავლეთა მიღებისა IV კლასამდის (ჩათვლით); დანარჩენ კლასებში ასწავლიან ცალკეული საგნების მასწავლებლები.

16. მასწავლებელი სისტემატურად ამოწმებს მოსწავლეთა ცოდნას ზეპირი გამოკითხვით გაკვეთილებზე. საკლასო და საშინაო წერითი სამუშაოების ჩატარებით და აფასებს მოსწავლეთა ცოდნას დადგენილი წესის შესაბამისად,—თითეული მეოთხედის ნიშანი იწერება მოწმობაში, რომელიც ყოველი მეოთხედის ბოლოს ხელზე ეძლევა მოსწავლეს მშობლებისათვის გასაცნობად.

ეს მოწმობა მშობლების ან მათი შემცვლელების მიერ ხელმოწერის შემდეგ ისევ სკოლას უბრუნდება.

17. მოსწავლეთა რაოდენობა ყრუ-მუნჯთა სკოლის თითოეულ კლასში განისაზღვრება 12 კაცით.

18. მოსამზადებელი, I, II, III, IV კლასების მოსწავლეები, რომელთაც ძირითად სასწავლო საგნებში აქვთ ნიშანი „3“, გადაყვანილ იქნებიან შემდეგ კლასებში უგამოცდოდ იმის მიუხედავად, თუ რა ნიშნები აქვთ მათ [redacted] ფიზკულტურასა და ხატვაში.

19. V—VIII კლასების მოსწავლეები სასწავლო წლის ბოლოს გაივლიან შემოწმებითი გამოცდებს, რომელთა ჩატარების წესს ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები გარდა ამისა პროფესიულ-შრომით მომზადებაში გამოცდებს გაივლიან საკვალიფიკაციო კომისიაში შრომითი სწავლების პროგრამის ათვისების შესამოწმებლად. საკვალიფიკაციო კომისია დგება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე.

20. მოსამზადებელ, I და II კლასის იმ მოსწავლეებს, რომელთაც არადამაკმაყოფილებელი წლიური შეფასება მიიღეს ერთ საგანში ხოლო III—IV კლასებში—არა უმეტეს ორ საგანში, პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით შეიძლება მიეცეთ საზაფხულო სასწავლო დავალება. V—VIII კლასის მოსწავლეები, რომელთაც არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვთ არა უმეტეს ორ საგანში, პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით შეიძლება დაშვებულ იქნან საშემოდგომო განმეორებითი გამოცდებზე.

21. საშემოდგომო შემოწმებითი გამოცდები ტარდება აგვისტოს მეორე ნახევარში.

22. მოსწავლეები, რომლებიც საშემოდგომო შემოწმებით გამოცდებზე მიიღებენ არადამაკმაყოფილებელ შეფასებას ერთ-ერთ ძირითად საგანში, რჩებიან იმავე კლასში.

23. მოსწავლეებს, რომლებიც დაამთავრებენ ყრუ-მუნჯთა სკოლის კურსს, ეძლევათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმის მოწმობა დირექტორის, სასწავლო ნაწილის გამგის და მასწავლებლების ხელმოწერით.

## III. პროფესიულ-შრომითი სწავლება

24. ყრუ-მუნჯთა სკოლის მოსწავლეთა პროფესიულ შრომითი სწავლების მიზანია უზრუნველყოს განსაზღვრული პროფესიის დაუფლება მოსწავლის მიერ სატარიფო ქსელის არანაკლები მე-3 თანრიგის კვალიფიკაციით.

25. პროფესიულ-შრომითი სწავლება ყრუ-მუნჯთა სკოლაში იწყება IV კლასიდან, 12 წლისა და უფროსი ასაკის მოსწავლეები I, II, III კლასებიდან აგრეთვე უნდა იქნან ჩაბმული შრომითი-პროფესიულ სწავლებაში.

**შენიშვნა:** ამა თუ იმ დარგში (მხატვრობა, ქანდაკება) ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს შეუძლიათ ისწავლონ სპეციალურ სკოლებში ან სტუდიებში, რაც მათთვის წარმოადგენს პროფესიულ-შრომითი სწავლებას.

26. სასწავლო-შრომითი სახელოსნოებში სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას წარმოადგენს გაკვეთილი, რომელსაც ატარებს შრომის მასწავლებელი დადგენილი ცხრილის მიხედვით.

27. ნედლი მასალებითა და საჭირო მოწყობილობით ყრუ-მუნჯთა სკოლის პროფესიულ-შრომითი სწავლების სახელოსნოებს ამარაგებს განათლების სამინისტრო, სახელოსნოებს შეუძლიათ მიიღონ შეკვეთები მხოლოდ იმ პირობით, რომ შეკვეთები შესრულებულ იქნება საპროგრამო მუშაობის შესაბამისად.

28. თითოეული სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეები ასრულებენ საკვალიფიკაციო მონაცემებს, რის საფუძველზე მათ ენიჭებათ თანრიგი.

29. საკვალიფიკაციო კომისიაში შედიან სკოლის დირექტორი, შესაფერი საწარმოო დაწესებულებათა წარმომადგენლები, შრომის მასწავლებელი და ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წარმომადგენელი.

30. მოსწავლეები, რომლებიც სასწავლო-შრომითი სახელოსნოებში მუშაობენ, ღებულობენ პრემიალურ ჯილდოს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით, ამისათვის სპეციალურად გამოცემული წესების საფუძველზე.

მოსწავლის კუთვნილი პრემიალური ჯილდოს აღრიცხვას აწარმოებს შრომის მასწავლებელი.

როგორც გამონაკლისი, დირექტორის ნებართვით მოსწავლეს შეიძლება ნება მიეცეს პრემიალური ჯილდოს ნაწილი მოიხმაროს პირადი საჭიროებისათვის, მთელი დაგროვილი თანხა კი მას მთლიანად გადაეცემა სკოლის კურსის დამთავრების შემდეგ. ეს თანხა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოსწავლის შენახვაზე ან გამოშვებაზე გაწეული ხარჯების დასაფარავად.

## IV. ინტერნატი ყრუ-მუნჯთა სკოლასთან

31. ყრუ-მუნჯთა სკოლის მოსწავლეთათვის, რომლებსაც არა ჰყავთ მშობლები, აგრეთვე რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამო-

სულთათვის ყრუ-მუნჯთა სკოლასთან არსებობს ინტერნატი. ობოლი ბავშვების შენახვა ინტერნატში უფასოა, სახელმწიფოს ხარჯზე. სხვა ბავშვების შენახვის ხარჯებს იხდიან მშობლები თანახმად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციისა.

32. ინტერნატის მთელი მუშაობა მიმდინარეობს სპეციალური განრიგის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს ყრუ-მუნჯთა სკოლის დირექტორი.

ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატის ამოცანას შეადგენს აგრეთვე მოსწავლეთა მიერ მეტყველი ენით (ზეპირი, წერითი, დაქტილოგიური) სარგებლობის ჩვევების განმტკიცება.

33. მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს] ინტერნატი ატარებს სკოლის გარეშე აღმზრდელობით ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურებიან სკოლის საერთო ამოცანებს.

34. ინტერნატში მოთავსებული ყოველი ბავშვი აღმზრდელთა ხელმძღვანელობით ეწევა თვითმომსახურეობით შრომას და დამხმარე მეურნეობაში მუშაობას.

შრომითი დავალებები, გამომუშავების ნორმები და მუშაობის სახეები მოსწავლეებს ეძლევათ მათი ასაკობრივი შესაძლებლობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით.

35. არდადეგებზე მშობლებიანი ბავშვები იგზავნებიან მშობლებთან უკანასკნელთა ხარჯზე. ინტერნატში დარჩენილი ბავშვებისათვის უზრუნველყოფილია კულტურული დასვენება და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარება.

## V. მოსწავლენი

36. ყრუ-მუნჯთა სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება აგვისტოში მიმღები კომისიის მიერ შემდეგი შემადგენლობით: განათლების სამინისტროს წარმომადგენელი (თავმჯდომარე), ყრუ-მუნჯთა სკოლის დირექტორი, ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წარმომადგენელი, ექიმი ოტოლარინგოლოგი, ექიმი თერაპევტი და სურდო-პედაგოგი.

37. მოსწავლეთა ჩარიცხვა ყრუ-მუნჯთა სკოლაში სასწავლო წლის დაწყების შემდეგ დასაშვებია მხოლოდ მშობელთა გადასვლის შემთხვევაში ერთი რაიონიდან მეორეში.

28. ყრუ-მუნჯთა სკოლაში ბავშვთა ჩარიცხვისას მშობლები ან მათი შემცვლელნი ვალდებული არიან წარადგინონ სკოლაში შემდეგი საბუთები: განცხადება ბავშვის სკოლაში ჩარიცხვის შესახებ,

დოკუმენტი ბავშვის ასაკის შესახებ, საექიმო დასკვნა სმენისა და მეტყველების მდგომარეობის შესახებ.

39. V და უფროსი კლასების მოსწავლეებს, რომლებიც ერთი კლასიდან მეორეში გადასვლისას ან კურსის დამთავრებისას ყველა საგანში, შრომითი სწავლებაში და ყოფაქცევაში მიიღებენ ნიშან „5"-ს, იმისდა მიუხედავად, თუ რა ნიშნები აქვთ მათ ხატვასა და ფიზკულტურაში, ეძლევათ ქების სიგელები.

40. მოსწავლეთა ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში, მოსწავლის მიმართ შეიძლება მიღებულ იქნეს ზეგავლენის შემდეგი ზომები:

ა) მასწავლებლის ან სკოლის დირექტორის ზეპირი შემჩნევა;

ბ) მასწავლებლის ან დირექტორის ინდივიდუალური საუბარი მოსწავლესთან კლასში, დირექტორის კაბინეტში;

გ) მოსწავლის მშობელთა გამოძახება სკოლაში და მოსწავლესთან საუბარი მშობელთა დასწრებით;

დ) ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება;

ე) მოსწავლის გაფრთხილება დირექტორის მიერ სკოლიდან გარიცხვის შესაძლებლობის შესახებ;

ვ) სკოლიდან გარიცხვა.

41. სკოლიდან მოსწავლის გარიცხვა, როგორც უკიდურესი ზომა, დირექტორის მიერ დასაშვებია მხოლოდ მოსწავლის განსაკუთრებულად ცუდი ქცევისათვის.

**შენიშვნა:** მოსწავლის გარიცხვა დადასტურებულ უნდა იქნეს განათლების სამინისტროს მიერ.

## VI. თანამდებობის პირნი

### ა) სკოლის დირექტორი

42. ყრუ-მუნჯთა სკოლის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. დირექტორად დაინიშნება ისეთი პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი პედაგოგიური (სპეციალური) განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ სამი წლისა.

43. სკოლის დირექტორი პასუხისმგებელია მოსწავლეთა სწავლა-აღზრდაზე, მათ შრომითი მოწყობაზე, აგრეთვე მთელი მეურნეობის მდგომარეობაზე სკოლაში. ის ხელმძღვანელობს სკოლის მთელ სასწავლო-საალმზრდელო და მეთოდურ მუშაობას, პროფესიულ-შრომითი სწავლებას, სკოლასთან არსებულ ინტერნატის მუშაობას,

თავმჯდომარეობს სკოლის პედაგოგიურ საბჭოს და უზრუნველჰყოფს სკოლის შესახებ გამოცემულ ინსტრუქციებისა და დადგენილებების ზუსტად შესრულებას.

44. ყრუ-მუნჯთა სკოლის დირექტორს უფლება აქვს:

ა) წარადგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად, აგრეთვე შეუფერებლობის შემთხვევაში გასანთავისუფლებლად მასწავლებლები, აღმზრდელები, მოადგილეები სასწავლო და სამეურნეო დარგში.

ბ) ადმინისტრაციული სასჯელი დაადოს სკოლის მუშაკებს შრომის დისციპლინის დარღვევისა და მათზე დაკისრებულ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის;

გ) წარადგინოს წახალისებისა და დაჯილდოებისათვის სკოლის მოწინავე მუშაკები;

დ) სპეციალობის მიხედვით ასწავლოს ერთ-ერთი საგანი. მისი გაკვეთილებით დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს დღეში ორ აკადემიურ საათს.

45. დირექტორის განკარგულებანი სავალდებულოა სკოლის ყველა მუშაკისათვის. მისი გაუქმება შეუძლია მხოლოდ განათლების სამინისტროს.

## ბ) დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში

46. დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში ინიშნება განათლების სამინისტროს მიერ იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ დასრულებული უმაღლესი დეფექტოლოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა.

47. დირექტორის მოადგილე პასუხისმგებელია დირექტორის წინაშე სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის სწორად დაყენებისათვის სკოლაში, ცხრილის, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებაში, დისციპლინის მდგომარეობაში და ასრულებს დირექტორის მოვალეობას მისი სკოლაში არყოფნის დროს.

## გ) დირექტორის მოადგილე ინტერნატის ხაზით

48. დირექტორის მოადგილეს ინტერნატის ხაზით ნიშნავს განათლების სამინისტრო დეფექტოლოგიური განათლების მქონე პირთაგან.

59. დირექტორის მოადგილე ინტერნატის ხაზით პასუხისმგებელია დირექტორის წინაშე საალმზრდელო მუშაობის დაყენებისათვის ინ-

ტერნატში, შინაგანაწესის შესრულებაში, კლასგარეშე მუშაობის დაყენებაში, სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებათა დაცვისათვის ინტერნატში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დ) მასწავლებლები

50. ყრუ-მუნჯთა სკოლის მასწავლებლებად ინიშნებიან დეფექტოლოგიური ან საერთო პედაგოგიური განათლებისა და არანაკლებ ხუთი წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟის მქონე მასწავლებლები.

51. ყრუ-მუნჯთა სკოლის მასწავლებელი ინიშნება, თავისუფლდება ან ერთი სკოლიდან მეორეში გადაიყვანება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

52. ყრუ-მუნჯთა სკოლის მასწავლებელს უფლება აქვს მიიღოს:

ა) ხელფასზე დანამატი მუშაობის სიძნელისათვის;

ბ) მორიგი შვებულება ყოველწელიწადს 48 დღის ხანგრძლიობით (ხელფასის შენარჩუნებით);

გ) პენსია წელთა დამსახურებისათვის;

დ) დამსახურებული მასწავლებლის წოდება განათლების სამინისტროს წარდგენით განსაკუთრებული დამსახურებისათვის ყრუ-მუნჯ ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეში.

## ე) კლასის ხელმძღვანელი

53. ბავშვთა სწავლასა და ქცევაზე ყოველდღიური მეთვალყურეობისა და დახმარებისათვის სკოლის VI კლასიდან (ჩათვლით) ინიშნება კლასის ხელმძღვანელი.

**შენიშვნა:** I—V კლასებში კლასის ხელმძღვანელის მოვალეობას ასრულებს კლასის ერთ-ერთი მასწავლებელი.

54. კლასის ხელმძღვანელს ევალება:

ა) თვალყური ადევნოს მოსწავლის მიერ გაკვეთილებზე დასწრებას, ბავშვის წარმატებასა და ყოფაქცევას;

ბ) შეამოწმოს მოსწავლის დღიურები;

გ) მოაწესრიგოს ბავშვთა მორიგეობა კლასში;

დ) გაატაროს სკოლის გარეშე ღონისძიებანი მოსწავლეთა შორის;

ე) პასუხი აგოს მოსწავლეთა პირადი საქმეების მდგომარეობაზე;

ვ) შეადგინოს მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის შესახებ დადგენილი ფორმის უწყისები, მეოთხედური და წლიური ანგარიშები კლასის მუშაობის შესახებ.

## ე) შრომის მასწავლებელი

55. შრომის მასწავლებელს ნიშნავს და ათავისუფლებს (ან გადაჰყავს) საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. შრომის მასწავლებლად ინიშნება მოცემულ სპეციალობაში მე-6 თანრიგის საწარმოო კვალიფიკაციის და არანაკლებ რვაწლიანი სკოლის განათლების მქონე პირი.

56. შრომის მასწავლებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ბავშვთა პროფესიულ-შრომითი სწავლება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების საფუძველზე;

ბ) გამოიმუშაოს ბავშვებში შრომის კულტურა, განავითაროს მათში ტექნიკისადმი ინტერესები, შეასწავლოს ტექნოლოგიის ელემენტები და ტექნიკური ხაზვა;

გ) მოაწყოს ექსკურსიები საწარმოო-დაწესებულებებში, მუზეუმებსა და ტექნიკის გამოფენებზე;

დ) უხელმძღვანელოს მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკას;

ვ) უზრუნველჰყოს სამუშაო ადგილების სწორი ორგანიზაცია და ტექნიკური უშიშროება სასწავლო სახელოსნოებში, მოაწესრიგოს ინსტრუმენტებისა და მასალების შენახვა, გაცემა, სახელოსნოს მოწყობილობის წესიერი მოვლა და ა. შ.

57. შრომის მასწავლებელი სარგებლობს ყრუ-მუნჯთა სკოლის სხვა მასწავლებელთათვის დადგენილი უფლებებით.

## ვ) აღმზრდელი

58. აღმზრდელს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ არანაკლებ საშუალო პედაგოგიური განათლებისა და ცნობილი არიან, როგორც მოწინავე პედაგოგები.

59. აღმზრდელი ვალდებულია:

ა) გაატაროს სხვადასხვა სახისა და შინაარსის აღმზრდელობითი ღონისძიებანი თავის საალმზრდელო ჯგუფში. ყოველმხრივ შეისწავლოს თავისი ჯგუფის თითოეული ბავშვი, განსაკუთრებული მზრუნველობითა და გულისხმიერებით მოეპყრას ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

ბ) უხელმძღვანელოს ბავშთა მიერ საშინაო დავალებათა მომზადებას, ასწავლოს მათ გაკვეთილების დამოუკიდებლად მომზადება, მისცეს წიგნზე მუშაობის, ხელსაწყოთა გამოყენების ჩვევები, ასწავ-

ლოს დღიურების წარმოება, შეაჩვიოს სასწავლო ნივთების, სახელმწიფო ქონების წესიერ მოვლასა და დაცვას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აწარმოოს თავის ჯგუფში სკოლის გარეშე მუშაობა—მოაწყოს კლასგარეშე კითხვა, თხრობა, ექსკურსიები, გასეირნებანი, თამაშობანი და მასიური და საწრეო მუშაობის სხვა სახეები;

დ) მისცეს ბავშვებს თვითმომსახურეობითი შრომის ჩვევები;

ე) დაამყაროს მტკიცე კავშირი კლასის ხელმძღვანელთან და სკოლის მასწავლებლებთან.

სააღმზრდელო ჯგუფში ბავშთა რაოდენობა განისაზღვრება 20—24 კაცის რაოდენობით.

### ზ) სამნეო ნაწილის გამგე და სხვა დამხმარე პერსონალი

60. სამნეო ნაწილის გამგეს ნიშნავს სკოლის დირექტორი. სამნეო ნაწილის გამგე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის წინაშე სკოლის სამეურნეო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისათვის, ღებულობს საჭირო ზომებს სკოლის შენობის დროულად შეკეთებისათვის, ინვენტარით, მოწყობილობით, პროდუქტებითა და ტანსაცმელით უზრუნველყოფისათვის, სათბობითა და სწავლისათვის საჭირო ყოველგვარი ნივთებით სკოლის მომარაგებისათვის.

61. სკოლის სხვა დამხმარე პერსონალი (საქმის მწარმოებელი, დამლაგებელი, დარაჯი, ცეცხლფარეშები, მეკარენი, მეეზოვენი და სხვ.) ინიშნება და თავისუფლდება სკოლის დირექტორის მიერ.

62. სკოლის თანამშრომელთა მუშაობის რეგულირება ხდება შინაგანაწესის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი პროფკავშირთან შეთანხმებით.

### თ) უფროსი პიონერხელმძღვანელი და ბიბლიოთეკარი

63. ყრუ-მუნჯთა სკოლაში წესდება უფროსი პიონერხელმძღვანელისა და ბიბლიოთეკარის თანამდებობანი.

### ი) საექიმო პერსონალი

64. ყრუ-მუნჯთა სკოლას შტატში ჰყავს ექიმი თერაპევტი და ექთანი, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

65. ექიმს ევალება:

ა) ბავშვთა საექიმო შემოწმება;

ბ) პროფილაქტიკური და სამკურნალო დახმარების აღმოჩენა მოსწავლეთათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სკოლის და ინტერნატის სანიტარულ მდგომარეობაზე მეთვალყურეობა; კვების, დასვენებისა და ძილის სწორ ორგანიზაციაზე ზრუნვა;

დ) ბავშვთა სმენასა და მხედველობის მდგომარეობაზე მეთვალყურეობა.

66. ყრუ-მუნჯთა სკოლას შტატში ჰყავს მასწავლებელი-ლოგოპედი, რომელიც ინიშნება მასწავლებელთა დანიშვნისათვის დადგენილი წესით დეფექტოლოგიური განათლების მქონე პირთაგან. მასწავლებელი-ლოგოპედი საერთოდ სარგებლობს მასწავლებლის ყველა უფლებით და მუშაობს სპეციალური ინსტრუქციის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

## VII. პედაგოგიური საბჭო

67. პედაგოგიური საბჭოს წევრებად ითვლებიან: სკოლის დირექტორი (თავმჯდომარე), მისი მოადგილე სასწავლო დარგში, თანაშემწე ინტერნატის ხაზით, ყველა მასწავლებელი და აღმზრდელი, მშობელთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წარმომადგენლები; მასწავლებელი-ლოგოპედი, ბიბლიოთეკარი, უფროსი პიონერხელმძღვანელი და სკოლის ექიმი.

68. პედაგოგიური საბჭო წარმოადგენს სათათბირო ორგანოს სკოლის დირექტორთან.

69. პედაგოგიურ საბჭოს იწვევს სკოლის დირექტორი არანაკლებ თვეში ერთხელ.

70. პედაგოგიური საბჭო ისმენს და იხილავს:

ა) სკოლის სამუშაო გეგმას;

ბ) იხილავს პარტიისა და მთავრობის დირექტივების, განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი ორგანოების მითითებებისა და ბრძანების ცხოვრებაში გატარების ღონისძიებებს;

გ) სასწავლო-საალმზრდელო და პროფესიულ-შრომითი სწავლების საკითხებს, გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადების საკითხებს, გამოცდების შედეგებს, კლასიდან კლასში გადაყვანისა და კურსდამთავრებულთათვის მოწმობების გაცემისა და დაჯილდოების საკითხებს;

დ) მასწავლებელთა ანგარიშებს სასწავლო პროგრამების შესრულების, სწავლების მეთოდებისა და მოსწავლეთა ცოდნისა და ყოფაქცევის შესახებ;

ე) კლასების ხელმძღვანელთა ანგარიშებს;

ვ) დასკვნა გამოაქვს სკოლის დირექტორის წლიური ანგარიშის შესახებ, რომელიც წარედგინება განათლების სამინისტროს.

71. ყოველი საკითხი პედაგოგიურ საბჭოში წყდება ხმის უმრავლესობით. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

72. პედაგოგიური საბჭოს ოქმი იწერება სპეციალურ, დანომრილ, ზონარგაყრილ და ლუქის ბეჭდის დასმულ წიგნში, სადაც ხელს აწერს სკოლის დირექტორი და პედსაბჭოს მდივანი.

73. იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლის დირექტორი არ ეთანხმება პედაგოგიური საბჭოს დადგენილებას, ის შეაჩერებს საბჭოს გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას და ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს განათლების სამინისტროს. განათლების მინისტრი ამ საკითხზე მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას და ხუთი დღის განმავლობაში აცნობებს პედსაბჭოს.

## VIII. მოსწავლეთა ორგანიზაციები

74. სკოლაში ყალიბდება მოსწავლეთა და პიონერთა ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ სპეციალური დებულების საფუძველზე.

## IX. მშობელთა კომიტეტი

75. სკოლასთან ყალიბდება მშობელთა კომიტეტი, რომელიც მუშაობს სკოლებთან არსებულ მშობელთა კომიტეტების დებულების საფუძველზე.

## X. სკოლის დაფინანსება, ქონება, ანგარიშგება, ლიკვიდაციის წესი

76. სკოლას აქვს იურიდიული პირის უფლება. მას აქვს თავისი ბეჭედი სკოლის სრული სახელწოდებით. სკოლის მთელი ქონება (შენობები, სასწავლო და სამეურნეო მოწყობილობა, სასკოლო-საკარმიდამო ნაკვეთი, დამხმარე მეურნეობა და სხვა) წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და არ შეიძლება გასხვისებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გარეშე.

77. სკოლას აქვს თავისი წლიური ხარჯთაღრიცხვა განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული.

78. გარდა საბიუჯეტო საშუალებებისა, სკოლას აქვს სპეციალური საშუალებანი, რომლებიც შესდგება სახელოსნოსა და დამხმარე მეურნეობის შემოსავლიდან.

79. სპეციალური სახსრები ხმარდება ბავშვთა შენახვის გაუმჯობესებას საბიუჯეტო თანხებზე დამატებით ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს განათლების სამინისტრო.

80. ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1-ლი ივნისისა, სკოლა არდგენს განათლების სამინისტროში თავისი მუშაობის ანგარიშს და სტატისტიკურ ცნობებს დადგენილ ვადებში სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით.

81. სკოლის ლიკვიდაცია ან ერთი შენობიდან მეორეში გადაყვანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით.

---

„ვამტკიცებ"
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე
1 ივლისი 1950 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უსინათლოთა სკოლის დებულება

## I. საერთო დებულება

1. უსინათლოთა სკოლა წარმოადგენს სახელმწიფო სკოლას და იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უშუალო გამგებლობასა და ბიუჯეტზე.

2. უსინათლოთა სკოლის მიზანია მისცეს უსინათლო ბავშვებს საერთო განათლება მასობრივი რვაწლიანი სკოლის პროგრამის ფარგლებში და პროფესიულ-შრომითი მომზადება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სპეციალური პროგრამის ფარგლებში.

3. უსინათლოთა სკოლის მოწაფეთათვის, რომელთაც არაჰყავთ მშობლები და ცხოვრობენ სკოლიდან დაშორებულ ქალაქებსა და რაიონებში, სკოლასთან ეწყობა ინტერნატი.

4. უსინათლოთა სკოლა შესდგება 9 კლასისა და სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებისაგან პროფესიულ-შრომითი სწავლებისათვის.

5. უსინათლოთა სკოლაში მოწაფეთა მიღება ხდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე.

6. უსინათლოთა სკოლის ყველა კლასში სწავლა წარმოებს მოსწავლეთა უმრავლესობის მშობლიურ ენაზე.

## II. სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია

7. უსინათლოთა სკოლა თავის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში იყენებს სპეციალურ საშუალებებსა და ხერხებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

8. მთელი სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ძირითად ფორმას წარმოადგენს გაკვეთილი, რომელიც ტარდება მასწავლებლის ხელმძღვანელობით განსაზღვრული შემადგენლობის კლასთან.

9. სასწავლო წელი უსინათლოთა სკოლაში იწყება 1-ლ სექტემბერს და მთავრდება I, II, III და IV კლასებში—20 მაისს, დანარჩენ კლასებში 10 ივნისს.

10. სასწავლო წელი იყოფა მეოთხედებად. სასწავლო მეოთხედების ვადები და ხანგრძლიობა ემთხვევა მასიური სკოლებისათვის დადგენილ ვადებსა და ხანგრძლიობას.

11. გაკვეთილების თანმიმდევრობა უსინათლოთა სკოლაში განისაზღვრება ცხრილით, რომელსაც ადგენს დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის საფუძველზე.

12. გაკვეთილის ხანგრძლიობა უსინათლოთა სკოლაში უდრის 45 წუთს, პირველი, მესამე და მეოთხე დასვენების—10—10 წუთს, ხოლო მეორესი 30 წუთს.

13. მოსწავლეთა რაოდენობა უსინათლოთა სკოლის თითოეული კლასისათვის დადგენილია 12-ის რაოდენობით.

14. უსინათლოთა სკოლის I—V კლასებში ყველა სასწავლო საგნებს თითოეულ კლასში, გარდა ფიზკულტურისა და სიმღერისა, ასწავლის ერთი მასწავლებელი. მასწავლებელს კლასი მიჰყავს პირველიდან V კლასამდის (ჩათვლით), დანარჩენ კლასებში საგნებს ასწავლის რამდენიმე მასწავლებელი.

15. მასწავლებელი სისტემატურად ამოწმებს მოსწავლეთა ცოდნას გაკვეთილებზე ზეპირი გამოკითხვით, წერითი სამუშაოების ჩატარებით და აფასებს მოსწავლეთა ცოდნას დადგენილი წესის მიხედვით. თითოეული მეოთხედის ნიშანი იწერება მოწმობაში, რომელიც ყოველი მეოთხედის ბოლოს ხელზე ეძლევა ბავშვს მშობლებისათვის გასაცნობად.

16. I, II, III, IV კლასების მოსწავლეები, რომელთაც ძირითად სასწავლო საგნებში აქვთ წლიური ნიშანი „3" და მეტი გადაიყვანებიან შემდეგ კლასებში უგამოცდოდ, იმისდა მიუხედავად, თუ რა ნიშნები აქვთ მათ სიმღერასა და ფიზკულტურაში.

17. V—IX კლასების მოსწავლეები სასწავლო წლის ბოლოს გაივლიან შემოწმებით გამოცდებს, რომელთა ჩატარების წესს ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. უკანასკნელი, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები, გარდა ამისა საკვალიფიკაციო კომისიაში გაივლიან გამოცდებს პროფესიულ-შრომით მომზადებაში პროგრამის ათვისების შესამოწმებლად; საკვალიფიკაციო კომისია დგება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე.

18. I—IV კლასის იმ მოსწავლეებს, რომელთაც არადამაკმაყოფილებელი წლიური შეფასება მიიღეს ერთ საგანში, პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით შეიძლება მიეცეთ საზაფხულო სასწავლო დავალება. V—IX კლასის მოსწავლეები, რომელთაც არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვთ არა უმეტეს ორ საგანში, პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით შეიძლება დაშვებულ იქნენ საშემოდგომო განმეორებით გამოცდებზე.

19. საშემოდგომო შემოწმებითი გამოცდები ტარდება აგვისტოს მეორე ნახევარში.

20. მოსწავლეები, რომლებიც საშემოდგომო შემოწმებით გამოცდებზე მიიღებენ არადამაკმაყოფილებელ შეფასებას ერთ-ერთ ძირითად საგანში, რჩებიან იმავე კლასში.

21. მოსწავლეებს, რომლებიც დაამთავრებენ უსინათლოთა სკოლის კურსს, ეძლევათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმის მოწმობა დირექტორისა და მასწავლებლის ხელმოწერით.

## III. პროფესიულ-შრომითი სწავლება

22. უსინათლოთა სკოლის მოსწავლეთა პროფესიულ-შრომითი სწავლების მიზანია უზრუნველჰყოს განსაზღვრული პროფესიის დაუფლება მოსწავლის მიერ სატარიფო ქსელის არანაკლებ მე-3 თანრიგის კვალიფიკაციით.

23. უსინათლოთა სკოლის მოსწავლეთა პროფესიულ-შრომითი სწავლება იწყება IV კლასიდან. 12 წლისა და უფროსი ასაკის მოსწავლენი I, II, III კლასებიდან აგრეთვე ჩაბმული უნდა იქნენ შრომითი პროფესიულ-სწავლებაში.

**შენიშვნა:** მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები ხელოვნდებიან ერთ-ერთ მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრაში, ღებულობენ სათანადო მომზადებას, რაც მათ საშუალებას აძლევს შემდეგში განაგრძონ მუსიკალური განათლება სპეციალურ მუსიკალურ სკოლაში (ეს მათთვის პროფესიული შრომის სწავლებას წარმოადგენს).

24. სასწავლო-შრომითი სახელოსნოებში სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას წარმოადგენს გაკვეთილი, რომელსაც ატარებს შრომის მასწავლებელი დადგენილი ცხრილის მიხედვით.

25. პროფესიულ-შრომითი სწავლება ინდივიდუალიზებული უნდა იყოს, განსაკუთრებით დაქვეითებული მოტორიკის მქონე მოსწავლეების მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. ნედლი მასალებითა და საჭირო მოწყობილობით უსინათლოთა სკოლის პროფესიულ-შრომითი სახელოსნოებს ამარაგებს განათლების სამინისტრო. სახელოსნოებს შეუძლიათ მიიღონ შეკვეთები მხოლოდ იმ პირობით, რომ შეკვეთები შესრულებულ იქნება საპროგრამო მუშაობის პროცესში.

27. სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეები ასრულებენ საკვალიფიკაციო დავალებებს, რის საფუძველზე მათ ენიჭებათ ხარისხი.

28. საკვალიფიკაციო კომისიაში შედიან: სკოლის დირექტორი, საწარმოო დაწესებულებათა წარმომადგენელი, შრომის მასწავლებელი და უსინათლოთა საზოგადოების წარმომადგენელი.

29. მოსწავლეები, რომლებიც სასწავლო-შრომითი სახელოსნოებში მუშაობენ, ღებულობენ პრემიალურ გასამრჯელოს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით ამისათვის სპეციალურად გამოცემული წესების საფუძველზე. დირექტორის ნებართვით მოსწავლეს შეუძლია პრემიალური გასამრჯელოს სახით მიღებული თანხა დახარჯოს პირად საჭიროებაზე. მთელი დაგროვილი თანხა მოსწავლეს ეძლევა ხელზე სკოლის დამთავრებისას.

## IV. ინტერნატი უსინათლოთა სკოლასთან

30. უსინათლოთა სკოლის მოსწავლეთათვის, რომელთაც არ ჰყავთ მშობლები, აგრეთვე რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსულთათვის უსინათლოთა სკოლასთან არსებობს ინტერნატი, ობოლ ბავშვთა შენახვა ინტერნატში უფასოა, სახელმწიფოს ხარჯზე. სხვა ბავშვების შენახვის ხარჯებს იხდიან მშობლები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისად.

31. ინტერნატის მთელი მუშაობა მიმდინარეობს სპეციალური განრიგის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს უსინათლოთა სკოლის დირექტორი.

32. მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს ინტერნატი ატარებს სკოლის გარეშე აღმზრდელობით ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება სკოლის საერთო ამოცანებს.

ინტერნატში მოთავსებული ყოველი ბავშვი აღმზრდელთა ხელმძღვანელობით ეწევა თვითმომსახურეობით შრომას და დამხმარე მეურნეობაში მუშაობას.

შრომითი დავალებები, გამომუშავების ნორმები და მუშაობის სახეები მოსწავლეებს ეძლევათ მათი ასაკობრივი შესაძლებლობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით.

33. არდადეგებზე მშობლებიანი ბავშვები იგზავნებიან მშობლებთან უკანასკნელთა ხარჯზე. ინტერნატში დარჩენილი ბავშვებისათვის უზრუნველყოფილია კულტურული დასვენება და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარება.

## V. მოსწავლენი

34. მოსწავლეთა მიღება უსინათლოთა სკოლაში ხდება აგვისტოში მიმღებ კომისიის მიერ შემდეგი შემადგენლობით: განათლების სამინისტროს წარმომადგენელი (თავმჯდომარე), უსინათლოთა სკოლის დირექტორი, ექიმი-ოკულისტი, ექიმი ტერაპევტი, ტიფლოპედაგოგი, უსინათლოთა საზოგადოების წარმომადგენელი.

35. მოსწავლეთა ჩარიცხვა უსინათლოთა სკოლაში სასწავლო წლის დაწყების შემდეგ დასაშვებია მხოლოდ მშობელთა გადასვლის შემთხვევაში ერთი რაიონიდან მეორეში.

36. უსინათლოთა სკოლაში ბავშვთა ჩარიცხვისას მშობლები ან მათი შემცვლელნი ვალდებულნი არიან წარადგინონ სკოლაში შემდეგი საბუთები: განცხადება ბავშვის სკოლაში მიღების შესახებ, დოკუმენტი ბავშვის ასაკის შესახებ, ექიმის დასკვნა მხედველობის მდგომარეობის შესახებ დიაგნოზის და შუშებით კორექციის საფუძველზე მხედველობის ნაშთის სიძლიერისა და პროგნოზის ჩვენებით.

37. ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლისას, მოსწავლე მიიღება შესაფერ კლასში უგამოცდოდ იმ სკოლის მიერ გაცემული საბუთების მიხედვით, სადაც წინათ სწავლობდა. ის მოსწვლენი, რომელნიც არ წარმოადგენენ ცნობას წინა სკოლიდან, გაივლიან გამოცდას სწავლების წინა კურსის ყველა საგანში და ჩაირიცხებიან იმ კლასში, რომლისთვისაც ისინი აღმოჩნდებიან მომზადებული.

38. V და უფროსი კლასების მოსწავლეებს, რომლებიც ერთი კლასიდან მეორეში გადასვლისას ან კურსის დამთავრებისას ყველა, საგანში, შრომითი სწავლებასა და ყოფაქცევაში, მიიღებენ ნიშან „5"-ს, იმისდა მიუხედავად, თუ რა ნიშნები აქვთ მათ ხატვასა, სიმღერასა და ფიზკულტურაში, ეძლევათ ქების სიგელები.

39. „მოსწავლეთა ქცევის წესების" დარღვევის შემთხვევაში მოსწავლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზეგავლენის შემდეგი ზომები:

ა) მასწავლებლის ან სკოლის დირექტორის ზეპირი შემჩნევა.

ბ) მასწავლებლის ან დირექტორის ინდივიდუალური საუბარი მოსწავლესთან კლასში, დირექტორის კაბინეტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მოსწავლის მშობელთა გამოძახება სკოლაში და მოსწავლესთან საუბარი მშობელთა დასწრებით.

დ) ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება.

ე) მოსწავლის გაფრთხილება დირექტორის მიერ სკოლიდან გარიცხვის შესაძლებლობის შესახებ.

ვ) სკოლიდან გარიცხვა.

40. სკოლიდან მოსწავლის გარიცხვა, როგორც უკიდურესი ზომა დირექტორის მიერ დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულად ცუდი ქცევისათვის.

**შენიშვნა**: მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა დადასტურებულ უნდა იქნეს განათლების სამინისტროს მიერ.

## IV. თანამდებობის პირნი

### ა) სკოლის დირექტორი

41. უსინათლოთა სკოლის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს, ათავისუფლებს (ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყავს) საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. დირექტორად დაინიშნება ის პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი პედაგოგიური (სპეციალური) განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ სამი წლისა.

42. სკოლის დირექტორი პასუხისმგებელია უსინათლოთა სწავლასა და აღზრდაში, შრომითი მოწყობაში, აგრეთვე მთელი მეურნეობის მდგომარეობაზე სკოლაში. ის ხელმძღვანელობს სკოლის მთელ სასწავლო და მეთოდურ მუშაობას, პროფესიულ-შრომითი სწავლებას, სკოლასთან არსებულ ინტერნატის მუშაობას, თავმჯდომარეობს სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და უზრუნველჰყოფს სკოლის შესახებ გამოცემულ ინსტრუქციებისა და დადგენილებების ზუსტად შესრულებას.

43. სკოლის დირექტორს უფლება აქვს:

ა) წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად ან გასანთავისუფლებლად პედაგოგები, სასწავლო ნაწილის, ინტერნატის გამგე და სკოლის სხვა მუშაკი მათი შეუფერებლობის შემთხვევაში.

ბ) დაადოს ადმინისტრაციული სასჯელი სკოლის მუშაკებს შრომის დისციპლინის დარღვევისა და მათზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის.

გ) წარადგინოს წახალისებისა და დაჯილდოებისათვის სკოლის შოწინავე მუშაკები.

დ) განაგოს სკოლის ქონება და სხვა საშუალებანი.

ე) ასწავლოს თავისი სპეციალობის მიხედვით ერთ-ერთი საგანი არა უმეტეს ორი საათისა დღეში.

44. სკოლის დირექტორის განკარგულებანი სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ყველა თანამშრომლისათვის და მათი გაუქმება ხდება მხოლოდ განათლების სამინისტროს განკარგულებით.

### ბ) დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში

45. დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში ინიშნება განათლების სამინისტროს მიერ იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ მიღებული დასრულებული დეფექტოლოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 3 წლისა.

46. დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში პასუხისმგებელია დირექტორის წინაშე სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის და პროფსწავლების სწორად დაყენებისათვის სკოლაში, ცხრილის შედგენაში სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებაში, დისციპლინის მდგომარეობაში და ასრულებს დირექტორის მოვალეობას მისი სკოლაში არყოფნის დროს.

### გ) დირექტორის თანაშემწე ინტერნატის ხაზით

47. დირექტორის თანაშემწეს ინტერნატის ხაზით ნიშნავს განათლების სამინსტრო დეფექტოლოგიური განათლების მქონე პირთაგან.

48. დირექტორის თანაშემწე ინტერნატის ხაზით პასუხისმგებელია დირექტორის წინაშე აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებისათვის ინტერნატში, შინაგანაწესის შესრულებაში, კლასგარეშე მუშაობის დაყენებაში, ინტერნატში სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებათა დაცვაში.

### დ) მასწავლებელი

49. უსინათლოთა სკოლის მასწავლებლებად ინიშნებიან დეფექტოლოგიური განათლების ან საერთო პედაგოგიური განათლებისა და არანაკლებ ხუთი წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟის მქონე პირნი.

50. უსინათლოთა სკოლის მასწავლებელს ნიშნავს, ათავისუფლებს (ან ერთი სკოლიდან მეორეში გადაყავს) საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

51. უსინათლოთა სკოლის მასწავლებელს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხელფასზე დანამატი მუშაობის სიძნელისათვის;

ბ) მიიღოს მორიგი შვებულება მასობრივი სკოლის მასწავლებლის თანაბრად.

გ) მიიღოს პენსია წელთა დამსახურებისათვის;

დ) განათლების სამინისტროს წარდგენით მიიღოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება განსაკუთრებული დამსახურებისათვის უსინათლოთა სწავლა-აღზრდის საქმეში.

## ე) კლასის ხელმძღვანელი

52. ბავშვთა სწავლასა და ქცევაზე ყოველდღიური მეთვალყურეობისა და დახმარებისათვის სკოლის VI კლასიდან (ჩათვლით) დირექტორის მიერ ინიშნება კლასის ხელმძღვანელი.

**შენიშვნა**: I—V კლასებში კლასის ხელმძღვანელის თანამდებობა არ წესდება. მის მოვალეობას ასრულებს ამავე კლასის ერთ-ერთი მასწავლებელი.

53. კლასის ხელმძღვანელს ევალება:

ა) მეთვალყურეობა გაუწიოს მოსწავლის მიერ გაკვეთილებზე დასწრებას, ბავშვის წარმატებასა და ყოფაქცევას;

ბ) შეამოწმოს მოსწავლის დღიურები;

გ) მოაწესრიგოს ბავშვთა მორიგეობა კლასში;

დ) გაატაროს სკოლის გარეშე ღონისძიებანი მოსწავლეთა შორის;

ე) პასუხი აგოს მოსწავლეთა პირადი საქმეების მდგომარეობაზე;

ვ) შეადგინოს მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის შესახებ დადგენილი ფორმისა და შინაარსის უწყისები და მეოთხედური და წლიური ანგარიშები კლასის მუშაობის შესახებ.

## ვ) შრომის მასწავლებელი

54. შრომის მასწავლებელს ნიშნავს, ათავისუფლებს და გადაყავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ საწარმოო კვალიფიკაცია სპეციალობაში არანაკლებ მე-6 თანრიგისა და განათლება არანაკლებ რვაწლიანი სკოლისა.

55. შრომის მასწავლებელი ვალდებულია:

ა) აწარმოოს ბავშვთა პროფესიულ-შრომითი სწავლება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების საფუძველზე;

ბ) გამოიმუშაოს ბავშვებში შრომის კულტურა, განავითაროს მათში ტექნიკისადმი ინტერესი, შეასწავლოს ტექნოლოგიის ელემენტები და ტექნიკური ხაზვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მოაწყოს ექსკურსიები წარმოებებში, მუზეუმებსა და ტექნიკის გამოფენებზე;

დ) უხელმძღვანელოს მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკას;

ე) უზრუნველჰყოს სამუშაო ადგილების სწორი ორგანიზაცია სასწავლო სახელოსნოებში, ტექნიკური უშიშროება, მოაწესრიგოს ინსტრუმენტებისა და მასალების შენახვა, გაცემა, სახელოსნოს მოწყობილობის წესიერი მოვლა.

56. შრომის მასწავლებელი სარგებლობს უსინათლოთა სკოლის სხვა მასწავლებლებისათვის დადგენილი უფლებებით.

## ვ) ინტერნატის აღმზრდელი

57. აღმზრდელს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო დირექტორის წარდგენით იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ არა-ნაკლებ საშუალო პედაგოგიური განათლებისა და ცნობილნი არიან როგორც მოწინავე პედაგოგები.

58. აღმზრდელი ვალდებულია:

ა) გაატაროს სხვადასხვა სახისა და შინაარსის აღმზრდელობითი ღონისძიებანი თავის საამღზრდელო ჯგუფში, ყოველმხრივ შეისწავლოს თავისი თითოეული ბავშვი, განსაკუთრებული მზრუნველობითა და გულისხმიერებით მოეპყრას ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეს;

ბ) უხელმძღვანელოს ბავშვთა მიერ საშინაო დავალებათა მომზადებას, ასწავლოს მათ გაკვეთილების დამოუკიდებლად მომზადება, მისცეს წიგნზე მუშაობის, ხელსაწყოთა გამოყენების ჩვევები, ასწავლოს დღიურების წარმოება, შეაჩვიოს სასწავლო ნივთების, სახელმწიფო ქონების წესიერ მოვლასა და დაცვას;

გ) აწარმოოს თავის ჯგუფში სკოლის გარეშე მუშაობა—მოაწყოს კლასგარეშე კითხვა, თხრობა, ექსკურსიები, გასეირნებანი, თამაშობანი და მასობრივი და საწრეო მუშაობის სხვა სახეები;

დ) განავითაროს ბავშვებში სივრცის წარმოდგენა და სივრცეში დამოუკიდებელი ორიენტირების უნარი, დანერგოს ბავშვებში თვითმომსახურეობითი შრომის ჩვევები;

ე) დაამყაროს მტკიცე კავშირი კლასის ხელმძღვანელთა და სკოლის მასწავლებლებთან.

სააღმზრდელო ჯგუფში ბავშვთა რაოდენობა განისაზღვრება 20—24 კაცით.

59. აღმზრდელი სარგებლობს უსინათლოთა სკოლის მასწავლებლებთან თანაბარი უფლებებით.

## ზ) სამნეო ნაწილის გამგე და სხვა დამხმარე პერსონალი

60. სამნეო ნაწილის გამგეს ნიშნავს სკოლის დირექტორი. სამნეო ნაწილის გამგე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის წინაშე სკოლის სამნეო და სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე, ღებულობს საჭირო ზომებს სკოლის შენობის დროულად შეკეთებისათვის, ინვენტარით, მოწყობილობით, პროდუქტებითა და ტანსაცმელით უზრუნველყოფისათვის, სათბობითა და სწავლისათვის საჭიროჟ ყოველგვარი ნივთით სკოლის მომარაგებისათვის.

61. სკოლის სხვა დამხმარე პერსონალი (საქმის მწარმოებელი, დამლაგებლები, დარაჯი, ცეცხლფარეშები, მეკარენი, მეეზოვენი და სხვ.) ინიშნებიან და თავისუფლდებიან სკოლის დირექტორის მიერ.

სკოლის თანამშრომელთა მუშაობის რეგულირება ხდება შინაგანაწესის საფუძველზე, რასაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი პროფკავშირთან შეთანხმებით.

## თ) უფროსი პიონერხელმძღვანელი და ბიბლიოთეკარი

62. უსინათლოთა სკოლაში წესდება უფროსი პიონერხელმძღვანელისა და ბიბლიოთეკარის თანამდებობანი.

## ი) საექიმო პერსონალი

63. უსინათლოთა სკოლას შტატში ჰყავს ექიმი თერაპევტი და ექთანი, რომელთაც ნიშნავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

64. ექიმს ევალება:

ა) ბავშვთა საექიმო შემოწმება;

ბ) პროფილაქტიკური და სამკურნალო დახმარების აღმოჩენა ბავშვთათვის;

გ) სკოლისა და ინტერნატის სანიტარულ მდგომარეობაზე, კვების, შრომის, დასვენებისა და ძილის სწორ ორგანიზაციაზე ზრუნვა და მეთვალყურეობა.

დ) ბავშვთა ჯანმრთელობაზე, სმენის და მხედველობის ნაშთზე ზრუნვა;

ექთანი მუშაობს ექიმ თერაპევტის მითითებებითა და ხელმძღვანელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VI. პედაგოგიური საბჭო

65. პედაგოგიური საბჭოს წევრებად ითვლებიან: სკოლის დირექტორი (თავმჯდომარე), მისი მოადგილეები სასწავლო და ინტერნატის ხაზით, ყველა მასწავლებელი და აღმზრდელი, მშობელთა კომიტეტისა და უსინათლოთა საზოგადოების წარმომადგენელი, ბიბლიოთეკარი, უფროსი პიონერხელმძღვანელი და სკოლის ექიმი.

66. პედაგოგიური საბჭო წარმოადგენს სათათბირო ორგანოს სკოლის დირექტორთან.

67. პედაგოგიურ საბჭოს იწვევს სკოლის დირექტორი არანაკლებ თვეში ერთხელ.

68. პედაგოგიური საბჭო ისმენს და იხილავს:

ა) სკოლის სამუშაო გეგმას;

ბ) პარტიისა და მთავრობის დირექტივებს, განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი ორგანოების მითითებებისა და ბრძანებების ცხოვრებაში გატარების ღონისძიებებს;

გ) სასწავლო-სააღმზრდელო და პროფესიულ-შრომითი სწავლების საკითხებს, გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადების საკითხებს, გამოცდების შედეგებს, კლასიდან კლასში გადაყვანისა და კურსდამთავრებულთათვის მოწმობების გაცემისა და დაჯილდოების საკითხებს;

დ) მასწავლებელთა ანგარიშებს სასწავლო პროგრამების შესრულების, სწავლების, მეთოდებისა და მოსწავლეთა ცოდნისა და ყოფაქცევის შესახებ;

ე) კლასების ხელმძღვანელთა ანგარიშებს;

ვ) დასკვნა გამოაქვს დირექტორის წლიური ანგარიშის შესახებ, რომელიც წარედგინება განათლების სამინისტროს.

69. ყოველი საკითხი პედაგოგიურ საბჭოში წყდება ხმის უმრავლესობით. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

70. პედაგოგიური საბჭოს ოქმი იწერება სპეციალურ, დანომრილ, ზონარ-გაყრილ და ლუქის ბეჭდით დასმულ წიგნში, სადაც ხელს აწერს სკოლის დირექტორი და საბჭოს მდივანი.

71. იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლის დირექტორი არ ეთანხმება პედაგოგიური საბჭოს დადგენილებას, ის აჩერებს საბჭოს გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს განათლების სამინისტროს. განათლების სამინისტრო მიიღებს ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას და ხუთი დღის განმავლობაში აცნობებს პედსაბჭოს.

## VIII. მოსწავლეთა ორგანიზაციები

72. უსინათლოთა სკოლაში ყალიბდება მოსწავლეთა და პიონერთა ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ სპეციალური დებულების საფუძველზე.

## IX. მშობელთა კომიტეტი

73. უსინათლოთა სკოლასთან ყალიბდება მშობელთა კომიტეტი, რომელიც მუშაობს მასობრივ სკოლებთან არსებულ მშობელთა კომიტეტის დებულების საფუძველზე.

## X. სკოლის დაფინანსება, ქონება, ანგარიშგება, ლიკვიდაციის წესი

74. უსინათლოთა სკოლას აქვს იურიდიული პირის უფლება. მას აქვს თავისი ბეჭედი სკოლის სრული სახელწოდებით. სკოლის მთელი ქონება (შენობები, სასწავლო და სამეურნეო მოწყობილობა, სასკოლო საკარმიდამო ნაკვეთი, დამხმარე მეურნეობა და სხვ.) წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და არ შეიძლება გასხვისებულ იქნეს განათლების სამინისტროს გარეშე.

75. სკოლას აქვს თავისი წლიური ბიუჯეტი, განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული.

76. გარდა საბიუჯეტო საშუალებისა სკოლას აქვს სპეციალური საშუალებანი, რომლებიც შედგება სახელოსნოებისა და დამხმარე მეურნეობის შემოსავლიდან.

77. სპეციალური სახსრები ხმარდება ბავშვთა შენახვის გაუმჯობესებას საბიუჯეტო თანხებზე დამატებით სპეცსახსრების ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს განათლების სამინისტრო.

78. ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1-ლი ივლისისა, სკოლა ადგენს განათლების სამინისტროში ანგარიშს თავისი მუშაობის შესახებ და სტატისტიკურ ცნობებს დადგენილ ვადებში სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით.

79. სკოლის ლიკვიდაცია ან ერთი შენობიდან მეორეში გადაყვანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი.5/168

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
პ/მგ. გამოშვებისათვის დავ. გიორგაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XI 1950 წ. უე17906. ანაწყობის ზომა 6×10.
შეკვეთის № 2257. ტირაჟი 3.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.